სებასტიის მთავარეპისკოპოსი თეოდოსი: ეპიფანეს წერილის უკან შეიძლება იდგნენ განხეთქილების კურნების მოწინააღმდეგე ძალები

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 10.08.2022. *2022 წლის 4 აგვისტოს სებასტიის მთავარეპისკოპოსი თეოდოსი (იერუსალიმის საპატრიარქო) გამოვიდა პირადი განცხადებით, რომელშიც გააზიარა საკუთარი შეხედულებები იმ წერილის აზრისა და მნიშვნელობის შესახებ, რომლითაც 27 ივნისს ეპიფანე დუმენკომ „მეუ-ს სინოდის“ დავალებით კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბართლომეოსს მიმართა.*

განცხადებაში ნათქვამია:

ცნობილი გახდა, რომ უკრაინის სქიზმატური სტრუქტურის მეთაურმა ეპიფანემ კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბართლომეოსს წერილი გაუგზავნა, რომელშიც სთხოვდა, შეეფასებინა და განეკითხა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ქმედებები. მე მინდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ეპიფანეს წერილიდან იმ ადგილს, სადაც მას მოჰყავს ცრუ ბრალდებები რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის წინააღმდეგ, და წარმოვადგინო ზოგიერთი თეზისი ამასთან დაკავშირებით.

1. თავის წერილში ეპიფანეს დაავიწყდა ეხსენებინა, რომ სწორედ ის და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი სქიზმატიკოსები წარმოადგენენ მთავარ პრობლემას, ისინი გახდნენ მიზეზი იმისა, რის წინაშეც დღეს ჩვენ ყველანი აღმოვჩნდით: საეკლესიო განხეთქილება და ევქარიტიული კავშირის გაწყვეტა რიგ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის. სქიზმატიკოს ეპიფანეს არ გააჩნია იმდენი ავტორიტეტი, რომ გახდეს საეკლესიო კრიზის გადაჭრის ინიციატორი, – ის ხომ თავად დგას განხეთქილების სათავეში, წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით არსებული მრავალი პრობლემის მიზეზს.

2. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები და მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი სათანადო ყურადღებას მიაპყრობენ მის ამ „შხამიან“ წერილს, რომლის მიზანიც მხოლოდ და მხოლოდ შექმნილი კრიზის გაღრმავებაა, და არანაირად –უკრაინის ეკლესიის საკითხის გადაწყვეტა, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ დიალოგით, ურთიერთგაგების გზების მოძიებით, დაახლოების და კონტაქტების შენარჩუნებით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქთან.

3. ეპიფანეს წერილი ძალიან საეჭვო ხასიათისაა. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ მის უკან დგანან მართლმადიდებელი ეკლესიის მტრული ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საეკლესიო განხეთქილების კურნებას და მისი გაღრმავება სურთ.

4. ჩვენ მოვუწოდებთ კონსტანტინეპოლის უწმინდეს პატრიარქს ბართლომეოსს და ყველა მართლმადიდებელ პატრიარქს, გამართონ მოლაპარაკებები შექმნილი კრიზისის გადასაჭრელად კანონებზე დაყრდნობით, რომლებიც ეკლესიური ერთობის გარანტს წარმოადგენს და გამორიცხავს ყოველგვარი სახის განყოფას. ამით შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რასაც ასე ძლიერ ვესწრაფვით, განსაკუთრებით – ევქარისტიული კავშირის აღდგენას ძმურ ეკლესიებს შორის.

5. საკითხის გადაჭრის არცერთი გზა არ გადის რუსეთის ეკლესიის იგნორირებაზე. ხოლო მათ, ვინც მის იგნორირებას ცდილობენ და თავს ესხმიან მას და მის პატრიარქს, სინამდვილეში არ სურთ კონფლიქტის გადაჭრას მიაღწიონ, არამედ მხარს უჭერენ ჩვენი ეკლესიისთვის მტრულ დღის წესრიგს. მათთვის მთავარია, არსებული განყოფა და განხეთქილება შეინარჩუნონ.

6. უკრაინის განხეთქილების მიზეზით ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ერთობის დარღვევის ფაქტი ძალიან გვადარდებს და გულს გვტკენს. ეს სისხლმდინარე ჭრილობა უმდა განიკურნოს

სიყვარულით, სიბრძნით, ურთიერთმიტევებით, ურთიერთგაგებით და საერთო დიალოგით საეკლესიო კანონების საზღვრებში. სწორედ ამ კანონებს ძალუძს, დაარეგულიროს ჩვენს ეკლესიაში ნებისმიერი კონფლიქტი და განყოფა – როგორც ყველაზე უმნიშვნელო, ისე ფრიად სერიოზული ხასიათის.

7. ჩვენ ლოცვებს აღვავლენთ უკრაინაში ომის დასამთავრებლად. ჩვენ არ ვართ ომის, ძალადობისა და მკვლელობის მომხრენი, – ჩვენ ვქადაგებთ ძმურ სიყგარულსა და მშვიდობას. ვლოცულობთ, რათა უფალმა განანათლოს ყველა ამსოფლიური მმართველის გული და გონება; დაე მათი გადაწყვეტილებები ყოფილიყოს ბრძნული და პასუხისმგებლური პოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დასარეგულირებლად დიალოგისა და ურთიერთნდობის გამოყენებით.

8. ჩვენ ვსასოებთ უფალს, რომელმაც ეკლესია ამქვეყნად ადამიანთა გადასარჩენად მოაწყო; დაე განკურნებულ იქნეს უკრაინის საეკლესიო განხეთქილება და განახლდეს ევქარისტიული კავშირი ყველა მართლადიდებელ ეკლესიას შორის.

9. ჩვენ, წმინდა ქალაქში, ვიმედოვნებთ, რომ უკრაინის ეკლესიის საკითხისთვის მოიძებნება გადაწყვეტილება და დაიწყება მოლაპარაკებები უღთიერთსიყვარულის, გაგების, მოთმინებისა და სიბრძნის სულისკვეთებით. ამისთვის აუცილებელია, მყარი წინააღმდეგობის გაწევა პოლიტიკური წნეხისთვის, რასაც მტრული ძალები ახორციელებენ, რომელთა მიზანია ქრისტეს ეკლესიის ერთიანი სხეულის შიგნით განყოფის გამოწვევა და გაღრმავება.

10. ჩვენ სასოს არ წარვიკვეთთ, ჩვენ უფალზე ვამყარებთ იმედს და მას ვევედრებით, რომ გააძლიეროს ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრები (რომლებსაც ვუდასტერებთ ჩვენს ღრმა მოკრძალებასა და პატივისცემას), რათა აღასრულონ თავიანთი საპასუხისმგებლო მსახურება და ხელი შეუწყონ შექმნილი განხეთქილების კურნებას.

11. არ უნდა მივაქციოთ ყურადღება ეპიფანესა და მისი მომხრეების გამოხტომებს, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ პრობლემას, და არა მის გადაჭრას. ყველა ისინი ჩვენი ეკლესიისადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური ძალების მსახურები არიან, – იმ ძალებისა, რომლებმაც წარმოქმნეს ახლანდელი კრიზი, და ის ახლა სასწრაფო გადაჭრას საჭიროებს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89518/